სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/22

ქ. თბილისი

15 იანვარი 2020

სტუ-ის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის დატვირთვის საათების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 იანვრის №01-05-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში შემავალ სადოქტორო პროგრამებზე ყოველწლიურად ჩარიცხულ პირთა რაოდენობიდან გამომდინარე საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ჩაეთვალოს ძირითად დატვირთვაში შემდეგი რაოდენობის საათები:

სადისერტაციო საბჭო	30-ზე ზევით	15 დან-30 მდე	15-მდე
თავმჯდომარე	200 სთ.	150 სთ.	80 სთ.
თავმჯდომარის მოადგილე	150 სთ.	100 სთ.	70 სთ.
მდივანი	100 სთ.	80 სთ.	50 სთ.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**